სამი გუნდის დათვალიერება

თბილისი "ლოკომოტივის" სტადიონი 11 თებერვალი.

"დინამო" (თბილისი) – სსრ კავშირი (ნაკრები) 1:1 (1:0)

"დინამო" გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, მუჯირი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, გ. ნოდია, ესებუა.

ნაკრები რუდაკოვი, კონკოვი, ს. კუზნეცოვი, ფომენკო (ზვიაგნცევი) რეშკო, დამინი, პუნტიანი (ბურიაკი), ონიშჩეკო (ფიოდოროვი), კოლოტოვი, ვეემეევი, ბლოხინი.

მსაჯი მ. მკრტჩიანი (ერევანი).

თბილისელი მაყურებელი ერთდროულად სამი გუნდი საბრძოლო დათვალიერების მოწმე გახდა. ამ პერიოდში როცა ფეხბურთელები ფაქტიურად სეზონის "პირველ ნაბიჯებს" დგამენ მინდორზე, ძნელია კატეგორიული დასკვნების გაკეთება, მოთამაშეთა შეფასება იმ საზომით, რომელიც მოგვიანებით, შუა სეზონში თუ გამოგვადგება, მაგრამ წლევანდელი სეზონის სპეციფიკა, ოფიციალურ შეხვედრათა ნაადრევი დასაწყისი, უფლებას არ გვაძლევს რაიმე შეღავათი დავუშვათ იმ მოტივით, რომ ახლა თოვლიანი თებერვალია, დრო ჯერ კიდევ ითმენს და ზამთრის ნაკლოვანებანი საჭირო მომენტისთვის თავისით გამოსწორდება.

როცა სამი გუნდის დათვალიერებას ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს ის, რომ სამსაჯო ოქმში ჩაწერილი თბილისის "დინამოს" და სსრ კავშირის ნაკრების გარდა, არსებითად კიევის "დინამოც" ცდიდა ძალებს, ვინაიდან ნაკრები – ახლა ეს ძირითადად კიევის გუნდია. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ კონკოვი (დონეცკის "შახტიორიდან") და ს. კუზნეცოვი (ვოროშილოვგრადის "ზარიადან") კიევში არიან გადაყვანილი, ესე იგი პირველ ტაიმში მინდორზე წმინდად კიევის "დინამო" იყო, რომელსაც შესვენების შემდეგ შემცვლელებად დაემატნენ დონეცკელი ზვიაგინცევი და ტაშკენტელი ფიოდოროვი.

2 აპრილამდე, როცა საბჭოთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი აქვს თურქეთის ეროვნულ გუნდთან, დრო არის შემადგენლობაშიც, ალბათ, გარკვეული ცვლილებები მოხდება, მაგრამ კიეველებს სულ მალე, 5 მარტს, ევროპის

ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების კალენდარული თამაში ელით თურქეთის "ბურსასპორთან", ეს კი გუნდისგან მოითხოვს ფორსირებულ მზადებას ფორმაში ადრეული შესვლისთვის.

რა შთაბეჭდილება დატოვა ნაკრებმა, ესე იგი კიევის "დინამომ"? აღფრთოვანებული ტრიბუნებზე ვერავინ ვნახეთ. პირველ ტაიმში იგი აშკარად ჩამორჩებოდა მეტოქეს ტემპში, სისწრაფეში, ცალკეული სათამაშო ეპიზოდების თავის სასარგებლოდ გადაწყვეტაში. კომბინაციური იერიშები ნაკრებს არ გამოუვიდა. ბლოხინი და ონიშჩენო მჭიდროდ იყვნენ ჩაკეტილი, კონკოვი და მუნტიანი შუა მინდორში ლოკალური ხასიათის ამოცანების გადაწყვეტას მოუნდნენ თბილისელთა ნახევარმცველებთან ბრძოლაში, კოლოტოვის რეიდები უშედეგოდ მთავრდებოდა, ვინაიდან მისკენ მიმართული გადაცემები ვერ აღწევდა მიზანს, ვრემეევი კი უმთავრესად კუთხური ბურთების მოწოდების სპეციალისტად მოგვევლინა, ამ ამოცანას კი იგი ორივე ფლანგიდანა შესანიშნავად ასრულებდა.

მაღალმა ტემპმა რომელიც მასპინძლებმა შესთავაზეს მეტოქეს, მათ სრული ტერიტორიული უპირატესობა მოუტანა პირველ ტაიმში. სწორედ სისწრაფის წყალობით გახდა შესაძლებელი მე–6 წუთზე ბურთის გატანა, როცა ხურცილავამ, ნოდიამ და გუცაევმა გაითამაშეს კომბინაცია, გუცაევი წამით ღია აღმოჩნდა და ახლოდან ზუსტად დაარტყა კარში.

მაგრამ საკმარისი იყო ტემპის ოდნავ შენელება, ბურთის დაყოვნება და მდგომარეობა მაშინვე იცვლებოდა სტუმრების სასარგებლოდ. ტემპს რატომღაც თბილისელთა მცველები ანელებდნენ, ხშირად უგზავნიდნენ ბურთს თავიანთს მეკარეს ან ერთმანეთს შორის თამაშობდნენ, ეს კი არ იყო გამართლებული.

შესვენების შემდეგ ინიციატივას დიდი ხნით ნაკრები დაეუფლა. ვერ ვიტყვით, რომ გუნდმა მაღალი კლასი გამოავლინა, მაგრამ დაახლოებით 30 წუთის მანძილზე იგი განუწყვეტლივ უტევდა. კოლოტოვს, ბლოხინს, ონიშჩენკოს ზედიზედ მიეცათ ანგარიშის გათანაბრების საშუალება და ამ მომენტებში ან მათი საბოლოო დარტყმები იყო უზუსტო, ან გაგოშიძე ახერხებდა ხიფათის გაქარწყლებას, ბოლოს 85–ე წუთზე, ბლოხინმა მაინც შეძლო სწრაფი გარღვევის შესრულება და ახლოდან გაიტანა საპასუხო გოლი.

თბილისის "დინამოს" ურიგოდ არ უთამაშია, თუმცა მეორე ტაიმში თავი იჩინა ზოგიერთი ფეხბურთელის დაღლილობამ, მკვეთრად მოუკლეს თამაშს თავდამსხმელებმა, კვლავ შესამჩნევი იყო ზედმეტი ინდივიდუალიზმი, რაც შეეხება ნაკრებს, იგი ჯერ ძალიან შორსაა იმ დონისგან, რომელიც საჭიროა მის წინაშე მდგარი რთული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

”ლელო”, 13.02.1975 წ.